წერილის ნომერი: **30-302619584**
თარიღი: **14/07/2026**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელ ადმინისტრაციული ორგანოდ განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი იქმნება მერიის ზედამხედველობის სამსახურის ნაცვლად, ჩვენი აზრით, ზედამხედველობის განმახორციელებელი სუბიექტის დამოუკიდებელი იურიდიული პირის ფორმით ფუნქციონირება უფრო ეფექტურს და მოქნილს გახდის მის საქმიანობას.

მუნიციპალური ინსპექციის ძირითად მიზნებად განსაზღვრული გვაქვს შემდეგი ამოცანები:

ა) კონტროლი გარე იერსახეზე, გარე რეკლამის განთავსებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესებზე, გარე ვაჭრობაზე, ავტოტრანსპორტის პარკირებაზე;

ბ) კონტროლი მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად ხმაურის, ინსოლაციისა და დასუფთავების განმსაზღვრელი სანიტარული ნორმების დაცვაზე;

გ) კონტროლი მშენებარე შენობა-ნაგებობების, წარმოებული სამშენებლო ნაკეთობების, კონსტრუქციების, საპროექტო ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე, დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის შესაბამისობაზე;

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, დარღვევით მშენებარე ობიექტების მშენებლობის შეჩერებაზე ან/და დემონტაჟზე, ასევე მათ მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენებაზე დასკვნის მომზადება;

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესების დაცვაზე (სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვა, მიწის გრუნტისა და სამშენებლო ნარჩენების სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში გატანა, მიწისქვეშა კომუნიკაციათა ჩაწყობა-გადაკეთებისა და მიწის გათხრასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების ჩატარება, სამუშაოების დამთავრების შემდეგ ობიექტის კეთილმოწყობა-მოწესრიგება და სხვა), დაზიანებული ქუჩებისა და მაგისტრალების მოწესრიგების ღონისძიებათა დროულ და ხარისხიან შესრულებაზე კონტროლის დაწესება;

ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათ შესაბამისობაში მოყვანაზე კონტროლი;

ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კეთილმოწყობის წესების დაცვაზე (შენობა-ნაგებობების ფასადების, გზის საფარის, გარე განათების, გამწვანებული ტერიტორიების, ვიტრინების, მარკიზების, კომუნიკაციათა ჯიხურების და ჭების საქალაქო მეურნეობის სხვა ელემენტების) და ტექნიკურ-ესთეტიკურ მდგომარეობაზე კონტროლი;

თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისა და ავტოტრანსპორტის პარკირების დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათ შესრულებაზე კონტროლი;

ი) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანონო, უსახური და ამორტიზებული ჯიხურების, მანქანადანადგარების, დახლების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატების და სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენა, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელება;

კ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამიჯნე ნიშნის მოშლის, დაზიანების ან სასაზღვრო ზოლის თვითნებური შეცვლის ფაქტის გამოვლენა;

ლ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახლად აშენებული რეკონსტრუქციული ობიექტებისა და რეკულტივირებული მიწების, დამთავრებული სამუშაოების მიმღებ მუშა და სახელმწიფო კომისიებში მონაწილეობის მიღება;

მ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვის პირობებისა და წყალსარგებლობის უფლების შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის წესების დარღვევის ფაქტის გამოვლენა;

ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების გამოვლენა, რომლებიც სამშენებლო ან სხვა სახის მასალების, ნარჩენების გადაზიდვას ახორციელებს გაუმართავი საბარგულით ან მისაბმელი მოწყობილობით, რაც ქმნის გზის საფარის დანაგვიანების ან დაზიანების საფრთხეს;

ო) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ცენტრალური, მუნიციპალური და სხვა პროგრამების შესრულება;

პ) კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა-ნაგებობების, წარმოებული სამშენებლო ნაკეთობების, კონსტრუქციების, საპროექტო ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე, დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის შესაბამისობაზე.

ჟ) „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ შესაბამისად მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განხორციელებას;

რ) პლასტიკის ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეალიზაციისას, ტექნიკური რეგლამენტის – „პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესით“ დადგენილი ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

ს) საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 55^6 , 64^2 , 77^1 , 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 125-ე მუხლის მე-8 და მე-12−მე-16 ნაწილებით, 134 – 135^1 -ე, 146^1 მუხლებით, 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 151^2 და 152^3–152^9 მუხლებით, 156^1 , მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების კოდექსის 290^6 მუხლის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განიხილვა და სამართალდამრღვევისთვის ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისთვის (იდენტიფიკაციის შემთხვევაში) ადმინისტრაციულ სახდელის (ჯარიმის) ადგილზევე შეფარდება);

ტ) საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 43^1 , 43^2 , 51^3 , 53^3 , 55-ე, 55^2 და 55^3 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 119^1 მუხლით, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 146^1 , 148-ე, 150-ე−151-ე, 152-ე და 153^4 მუხლებით, 159-ე და 159^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა.

უ) სხვა საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და ცენტრის საქმიანობის მიზნებს.

იურიდიული პირის საქმიანობისათვის აუცილებელია „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცება, აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ ასევე ინიცირებულია „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. დადგენილებით მტკიცდება მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი - საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის ნიმუშიც ჩვენს მიერ ენის სისწორის თვალსაზრისით შესათანხმებლად გადაგზავნილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში. შეთანხმების დოკუმენტს წარმოგიდგენთ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.

ვინაიდან მერიის სტრუქტურაში აღარ იქნება ზედამხედველობის სამსახური, პროექტი ითვალისწინებს ზედამხედველობის სამსახურთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

იურიდიული პირის საქმიანობისათვის ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში. საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში იურიდიული პირის ფუნქციონირების დაწყება დაგეგმილი გვაქვს 2026 წლის 14 აგვისტოდან.

იმისათვის რომ ხელი არ შეეშალოს იურიდიული პირის რეგისტრაციისა და საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების პროცესის უწყვეტობას, გთხოვთ საკითხების განსახილველად მოიწვიოთ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

პროექტების განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, შოთა ჩაგუნავას კანდიდატურას.

გთხოვთ, თქვენს თანხმობას.
პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება N

2026 წლის ივლისი
ქ. ლანჩხუთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელ ადმინისტრაციული ორგანოდ განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 106^1-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 118-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული და მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნება.

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია“ განისაზღვროს მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელ ადმინისტრაციული ორგანოდ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2026 წლის ივლისი
ქ. ლანჩხუთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“–ს 106^1–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 106^2–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

დანართი

ცნობა

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2026 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №
2026 წლის

ქ. ლანჩხუთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 122-ე – 128-ე მუხლების, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 209^3 -ე, 239-ე მუხლის მე-14 და 27-ე ნაწილების, 240-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების დანართი №1-ის მე-17 პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი თანახმად №1 დანართისა.

მუხლი 2

დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა თანახმად N2 დანართისა.

მუხლი 3

დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას მითითების, შემოწმების აქტის, უწყების, შემოწმების აქტის (მითითების გარეშე), დადგენილების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით განსახორციელებელი სამშენებლო ობიექტის ადგილზე დათვალიერების ოქმის ფორმები თანახმად №3–№11 დანართებისა.

მუხლი 4

დამტკიცდეს საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა და გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმა თანახმად N12 და N13 დანართებისა.

მუხლი 5

დამტკიცდეს სააღსრულებო ფურცლის ფორმა თანახმად N14 დანართისა.

მუხლი 6

დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N 24 დადგენილება (ვებ გვერდი 29.06.2022, სარ. კოდი 010250000.35.112.016490);

ბ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა - ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N 11 დადგენილება (ვებ გვერდი 29.04.2022, 010250050.35.112.016477);

გ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 4 აპრილის N 12 დადგენილება (ვებ გვერდი 06.04.2023, სარ. კოდი 010250050.35.112.016515);

დ) „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართამდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N 17 დადგენილება (ვებ გვერდი 25.08.2023, სარ. კოდი 010250020.35.112.016520).

მუხლი 7

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 14 აგვისტოდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე

დანართი №1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

მუხლი 1. რეგულირების საგანი

1. ეს წესი „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების საფუძველზე განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ (შემდგომში – „ინსპექციაში“) თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას მკაცრი აღრიცხვის ფორმის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების სამართლებრივ მექანიზმებს.

2. ინსპექციაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენება და აღრიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის საფუძველზე.

მუხლი 2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, ფორმებით მომარაგება, გაცემა და დაბრუნება

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს აქვს ინდივიდუალური ნომერი და წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების წარმოების, ორგანიზებისა და ფორმებით მომარაგებას ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ სათანადო წესით უფლებამოსილი პირი.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმას „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრაციისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი/სათანადოდ უფლებამოსილი პირი წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს განცხადების (წერილის) საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლში მითითებულ მოთხოვნებს;

ბ) ინფორმაციას მკაცრი აღრიცხვის ფორმის სახელწოდებისა და მიზნობრივი დანიშნულების შესახებ;

გ) რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუში გაყალბებისაგან დამცავი ყველა ნიშნის აღნიშვნით;

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დასკვნას მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნიმუშის (პროექტების) შეთანხმების თაობაზე, შესაბამის ნიმუშთან (პროექტთან) ერთად;

ე) მკაცრი აღრიცხვის ფორმაზე აღნიშნული უნდა იყოს ფორმის დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდება ინიციალებით, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციალები „სემგს რეგისტრაციის №".

4. მკაცრი აღრიცხვის ფორმები (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები) ინახება სპეციალურად გამოყოფილ და სათანადოდ დაცულ ადგილას.

5. სათანადო წესით უფლებამოსილი პირის მიერ ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება შესაბამის ჟურნალში.

მუხლი 3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსება და საქმის წარმოება

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ინსპექციის სათანადოდ უფლებამოსილი პირი ადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენისას.

2. ოქმი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან:

ა) ერთი – საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობებთან ერთად დაუყოვნებლივ ეგზავნება განხილვაზე უფლებამოსილ პირს (ორგანოს) და ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს;

ბ) მეორე – ჰბარდება სამართალდამრღვევს შესაბამისი ხელის მოწერით ოქმის ეგზემპლარის ჩაბარების შესახებ, თუ სამართალდამრღვევი ესწრება ოქმის შედგენას;

გ) მესამე – რჩება ოქმის შემდგენელთან.

3. ოქმი ივსება მუქი ფერის ბურთულიანი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით, დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხეკა, გადაშლა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი, ძველი გადაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც ოქმის შემვსები, მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზების მითითებით, აბარებს ოქმის გამცემს (აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირს).

4. ოქმის შედგენისას დამრღვევს უნდა განემარტოს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლება-მოვალეობანი, რაც აღინიშნება ოქმში.

5. ადმინისტრაციული სამართალდრღვევის ოქმში აღინიშნება:

ა) ოქმის შედგენის ადგილი და თარიღი;

ბ) ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი;

გ) მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ – სახელი, გვარი, მისამართი, პირადი ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში მისი დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და სხვა პირადი მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი, ნორმატიული აქტის დასახელება, რომელიც იქნა დარღვეული;

ე) ნორმატიული აქტი (ნორმაზე მითითებით), რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის;

ვ) მოწმეთა ან/და დაზარალებულთა სახელები, გვარები და მისამართები, თუ ასეთები არიან;

ზ) სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება;

თ) საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

6. ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენი და სამართალდამრღვევი. თუ არიან მოწმეები და დაზარალებულები, ოქმს ხელი შეიძლება მოაწერონ ამ პირებმაც.

7. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმის შემდგენის მიერ ოქმის შენიშვნის გრაფაში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

8. სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმზე დასართავი ახსნა-განმარტებები და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

9. ოქმი, მისი შედგენიდან დაუყოვნებლივ, ეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

10. ოქმის შემდგენი და საქმის განმხილველი ორგანო ვალდებულნი არიან, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში აცნობონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიან საინფორმაციო ბანკს).

მუხლი 4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა რეგისტრაცია

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის მონაცემები შეიტანება „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების რეგისტრაციის ჟურნალში (დანართი №4)

(შემდგომში – რეგისტრაციის ჟურნალი) შესაბამისი გრაფების შევსებისა და საქმის რეგისტრაციის ნომრის დაფიქსირების გზით.

2. რეგისტრაციის ჟურნალი იწარმოება ინსპექციაში, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი პასუხისმგებელი პირის მიერ.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები ექვემდებარება აუცილებელ რეგისტრაციას რეგისტრაციის ჟურნალში მათი შედგენიდან (გამოტანიდან) სამი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. რეგისტრაციის ჟურნალის შევსების წესი

1. რეგისტრაციის ჟურნალის პირველ და მეორე გრაფაში შეიტანება საქმის რიგითი ნომერი და რეგისტრაციის თარიღი.

2. მე-3-მე-10 გრაფებში მიეთითება მონაცემები სამართალდარღვევის ჩამდენი პირის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში – გვარი, სახელი, მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, უფლებამოსილი წარმომადგენლის გვარი, სახელი, თანამდებობა, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – პასპორტის ნომერი და მოქალაქეობა.

3. მე-11-მე-14 გრაფებში მიეთითება მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თაობაზე.

4. მე-15-21-ე გრაფებში მიეთითება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების თაობაზე.

5. 22-ე გრაფაში მიეთითება მონაცემები გადახდილი ჯარიმის თაობაზე.

6. 23-ე გრაფაში მიეთითება ინფორმაცია დანაშაულის ნიშნების არსებობის თაობაზე.

7. თუ ოქმი იგზავნება სასამართლოში განსახილველად, 24-ე გრაფაში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა, ხოლო მე-15-23-ე გრაფები არ ივსება.

მუხლი 6. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ფორმების ჩამოწერა

1. ოქმის ფორმების ჩამოწერა შეიძლება:

ა) ოქმის შედგენის დროს დაშვებული შეცდომის გამო;

ბ) ოქმის ფორმების ფიზიკური დაზიანების გამო;

2. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ფორმების ჩამოწერა უნდა მოხდეს „გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების ჩამოწერის შესახებ აქტის (დანართი 5) (შემდგომში – ჩამოწერის აქტი) შედგენით, რომელშიც აუცილებლად უნდა მიეთითოს გამოსაყენებლად უვარგისი (ჩამოწერილი) ოქმის ფორმების ინდივიდუალური ნუმერაცია.

3. ჩამოწერილი ოქმის ფორმების უტილიზაცია ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე”

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/344 ბრძანების შესაბამისად.

დანართი №2

<table>
<tr>
<td>

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია

ნაწილი I

საჯარიმო ქვითარი N

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ოქმი

ბ.ა.

1. შედგენის თარიღი: ----------

2. შედგენის ადგილი: ----------

(რიცხვი, თვე, წელი)

3. ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი: ----------

_____

_____

4. დამრღვევის მონაცემები: ----------

_____

(ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება პირადი ნომერი, სახელი, გვარი, მისამართი)

_____

</td>
<td>

ნაწილი II

საჯარიმო ქვითრის ყუა

N

(ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში)

1.----------

(გადამხდელის სახელი და გვარი)

2. ----------

(გადამხდელის მისამართი)

</td>
</tr>
</table>

---------- იურიდიული პირის შემთხვევაში მიეთითება მისი დასახელება, მისამართი და საიდენტიფიკაციო ნომერი ----------	3. ---------- (ჯარიმის ოდენობა)
5. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო, არსი: ---------- ---------- ---------- ---------- 6.1. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ ---------- მუხლის ---------- ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას ---------- ლარის ოდენობით.	4.1.---------- (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი)
6.2. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ ---------- მუხლის -------- ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას ---------- ლარის ოდენობით.	4.2. ---------- (ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი)
6.3. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ ---------- მუხლის -------- ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას ---------- ლარის ოდენობით.	4.3. ---------- (საარჩევნო კოდექსის მუხლი)

7. ---------- ---------- მოწმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, პირადი მონაცემები 8. ოქმს ერთვის დამრღვევის ახსნა-განმარტება, კონფისკაციის აქტი და სხვა: (ახსნა-განმარტების, კონფისკაციის აქტისა და სხვა დოკუმენტის არსებობისას მიეთითება მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა) 9. მიმღები მოლარე: ---------- ---------- (ხელმოწერა და თარიღი) (საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი) მოწმის ხელმოწერა: ---------- ოქმის შემდგენლის ხელმოწერა: ----------	5. ---------- (სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი) 6. ---------- (საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი) 7. მიმღები მოლარე: ---------- (ხელმოწერა) 8. შემომტანი: ----------

სამართალდამრღვევი: ---------- (ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან ქვითრის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა)	(ხელმოწერა) ბ.ა. 9. თარიღი: ---------- (რიცხვი, თვე და წელი) საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანის მიერ.

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული გადაწყვეტილება (ბრძანება).

მოქალაქეს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლითა და ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის მე-16 ნაწილით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. კერძოდ, გამოწერილი საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მხარისათვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან, ხოლო საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე გამოწერილი საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი – სასამართლოში.

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი ჩადენილი დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დამკვეთი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

დამამზადებელი:

სემგს-ს რეგისტრაციის №

დანართი N3

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია“

ქ. ლანჩხუთი „----“ ----------

20--- წ.

მითითება N-

დამრღვევის დასახელება და მისამართი:----------

(მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების მონაცემები) ობიექტის დასახელება და

მისამართი (საკადასტრო კოდი)

---------- ----------

მითითების გაცემის მომენტში მშენებლობის ეტაპის დარღვევის სახეობა, შინაარსი და გამოსწორების მიზნით

მისაღები ზომები ----------

---------- ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის ---------- მუხლის/ნაწილის ---------- პუნქტით გათვალისწინებულ დარღვევას. საჯარიმო სანქცია აღნიშნულ დარღვევაზე განისაზღვრება -- ---------- ლარით. დარღვევის გამოსწორების ვადა ---------- ---------- დღე.

მითითების შეუსრულებლობისას ან ვადების დარღვევისას თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის შესაბამისად.

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ ----------
შემსრულებელი ----------
ბ.ა.

შენიშვნა: მითითება წარმოადგენს დამრღვევის მიმართ გაცემულ შენიშვნას, განსაზღვრულ გონივრულ ვადაში ნებაყოფლობით შეასრულოს მასში აღნიშნული პირობები სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსასწორებლად.

დანართი №4

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია“

ქ. ლანჩხუთი „----“ ----------
- 20-- წ.

შემოწმების აქტი N—

შემოწმების აქტი დგება მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დასადგენად.

მითითების № ---------- თარიღი ----------დამრღვევის დასახელება

და მისამართი

ობიექტის დასახელება და მისამართი

შემოწმების მომენტში მშენებლობის ეტაპი/ან დარღვევის სახეობა: ----------

---

აქტის შედგენის მომენტში მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა აჩვენებს, რომ დამრღვევის მიერ

აღნიშნულიდან გამომდინარე, აქტს ვადგენთ მასზე, რომ მითითება N----------

ა) შესრულდა;

ბ) არ შესრულდა;

გ) ვადების დარღვევით სრულდება.

შემოწმების აქტის შემდგენი (სახელი, გვარი, თანამდებობა):

1) ----------

---

2) ----------

---

3) ----------

აქტი ჩაბარდა და გაეცნო (სახელი, გვარი, მისამართი)

ბ.ა.

დანართი №5

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია“

ქ. ლანჩხუთი „----“ ---------- 20 ---წ.

შემოწმების აქტი (მითითების გარეშე) N

შემოწმების აქტი დგება----------

---------- დამრღვევის დასახელება და მისამართი

ობიექტის დასახელება და მისამართი

----------აქტის შედგენის მომენტში მშენებარე

ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა აჩვენებს, რომ დამრღვევის მიერ

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილი აქვს „საქართველოს სივრცის დაგეგმარების,

არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის --------მუხლით----------

----------გათვალისწინებულ დარღვევას ----------შემოწმების აქტის

შემდგენი (სახელი, გვარი, თანამდებობა):

1)----------

2) ----------

3)----------

ჩაბარდა და გაეცნო (სახელი, გვარი, მისამართი)

ბ.ა.

დანართი №6

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია“

ქ. ლანჩხუთი „-------“ ---------- 20-- წ.

უწყება N—

საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ გათვალისწინებული გამოვლენილი დარღვევის საფუძველზე, დაბარებული ხართ ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციაში“ არქიტექტურულ-სამშენებლო ნორმების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

დამრღვევის დასახელება,

მისამართი----------

ობიექტის დასახელება და მისამართი

---------- გამოვლენილი დარღვევა ----------

საქმის განხილვის თარიღი, დრო----------

----------საქმის

განხილვის ადგილი----------

უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, აგრეთვე სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ პირს.

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის უწყების გაცნობა (პირდაპირი ჩაბარებით), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვლება მისი განთავსება უწყებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე. თვალსაჩინო ადგილად ჩაითვლება: საინფორმაციო დაფა; მშენებლობის ტერიტორიაზე სამუშაოთა მწარმოებელთათვის დროებით განთავსებული შენობა; მშენებლობის ტერიტორიის შემომფარგვლელი უსაფრთხოების ღობე; გაფრთხილებთ, რომ მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას.

უფლებამოსილი პირი ----------

უწყების განთავსების თარიღი----------

ბ.ა

დანართი №7

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია“

დადგენილება №—

---------- ის

დაჯარიმების შესახებ

ქ. ლანჩხუთი ,,------‘‘ ------20--- წ.

საფუძველი: საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 125-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილების და 20- - წლის ----------№----------შემოწმების აქტი

1. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის ----------მუხლის ——————ნაწილის საფუძველზე ---------- სამშენებლო სამართალდარღვევისათვის ---------- ლარით დაჯარიმდეს ----------(სახელი, გვარი, (სახელწოდება) საიდენტიფიკაციო მონაცემები)----------

2. დადგენილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაეცნოს

---

3. სამართალდარღვევისათვის განსაზღვრული ჯარიმა ჩარიცხულ იქნეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ---------- ------- დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

4. დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დაერიცხოს საურავი დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან, მისამართზე ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. №37, მისი გაცნობიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში, ხოლო შემდეგ ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქუჩა №26, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ დირექტორი

ბ.ა

დანართი N8

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია“
დადგენილება №

---------- ის
სანებართვო პირობების დარღვევით მიმდინარე და უნებართვო მშენებლობის შეჩერების შესახებ

ქ. ლანჩხუთი „-----„----------20--- წ.

საფუძველი: საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 127-ე მუხლის 1-ლი და მე-
5 ნაწილები და 20- - წლის ----------№ ----------
შემოწმების აქტი
1. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის ---------- მუხლის --------
ნაწილის ---------- საფუძველზე ---------- ---------- მიერ შეჩერებულ იქნეს დარღვევის აღმოფხვრამდე მშენებლობა.

2. დადგენილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაეცნოს - ----------

---

3. მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამშენებლო სამართალდამრღვევს, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრება ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის“ კოდექსის 136-ე მუხლის შესაბამისად. მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში სამშენებლო სამართალდარმღვევს დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360[1] მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან, მისამართზე ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. №37, მისი გაცნობიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში. ხოლო შემდეგ ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქუჩა №26, კანონმდებლობით დადგენილი წესით. დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ დირექტორი

ზ.ა

დანართი №9

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია“

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

ქ. ლანჩხუთი „------“ ----------

--- 20-- წ.

1. საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობისკოდექსი“ 125-ე მუხლის 1-ლი და მე-5 ნაწილების ---------- ქვეპუნქტის საფუძველზე

---------- შეწყდეს

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

2. დადგენილება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით,

გაეცნოს----------

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან, მისამართზე: ქ. ლანჩხუთი,კოსტავას ქ. №37, მისი გაცნობიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში, ხოლო შემდეგ ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქუჩა №26, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ დირექტორი

ბ.ა

დანართი №10

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია“

დადგენილება №--

---------- ის კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის შესახებ

ქ. ლანჩხუთი „------“ ---------- 20-- წ.

საფუძველი: საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 127ე მუხლის მე-2 პუნქტის და 20-- წლის ——————— № — შემოწმების აქტი.

1.---------- საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ ---------- მუხლის ---------- ნაწილის საფუძველზე მოხდეს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად (ან ნაწილობრივ) დემონტაჟი ---------- დღის ვადაში

2. დადგენილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაეცნოს ----------

---

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან, მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. №37, მისი გაცნობიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში, ხოლო შემდეგ ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქუჩა №26, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ დირექტორი

ბ.ა .

დანართი №11

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციიის“ მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით განსახორციელებელი სამშენებლო ობიექტის ადგილზე დათვალიერების ოქმის ფორმა

მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით განსახორციელებელი სამშენებლო ობიექტის ადგილზე დათვალიერების

ოქმი №_____

უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი: _____

უფლებამოსილი პირის თანამდებობა:

_____

უძრავი ნივთის მესაკუთრე/მოსარგებლე

_____; პირადი №/ ს/კ _____

სახელი და გვარი/ სახელწოდება

უძრავი ნივთის მისამართი:

_____

უძრავი ნივთის საკადასტრო კოდი

(ასეთის არსებობის შემთხვევაში): _____

უძრავ ნივთზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი/მისი რეკვიზიტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

_____

დათვალიერების თარიღი და დრო: 20___ წლის ___ _____; საათი _____
დათვალიერების მონაწილე პირები:

სამართალდამრღვევი:

----------; პირადი №/ ს/ნ

სახელი და გვარი/ სახელწოდება

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ წარმომადგენლები:

_____; პირადი №_____

(სახელი და გვარი)

_____; პირადი №_____

(სახელი და გვარი)

_____; პირადი №_____

(სახელი და გვარი)

დათვალიერების მონაწილე პირების მოსაზრებები/შენიშვნები

(ასეთის არსებობის შემთხვევაში):

_____

_____

_____

_____

დათვალიერების და გამოკვლევის შედეგები:

_____

_____

_____

_____

დანართი: საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი _____ ფურცელი.

დათვალიერების მონაწილე პირთა ხელმოწერები:

_____

_____ _____

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: _____

დანართი N12

საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის
ოქმის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა

N	გაცემის თარიღი	საჯარიმო ქვითრის (ოქმის) N	საჯარიმო ქვითრის (ოქმის) გამცემი			
			თანამდებობა	სახელი	გვარი	ხელმოწერა
1	2	3	4	5	6	7

გაგრძელება

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) მიმღები				შედგენილი (გამოყენებული) საჯარიმო ქვითრები (ოქმები)				
8	9	10	11	12	13	14	15	16

გაგრძელება

დაბრუნებული (გაუქმებული ან უვარგისი) საჯარიმო ქვითრები (ოქმები)	შენიშვნა

17	18	19	20	21	22	23

დანართი N13

აქტი N (ფორმა)

გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერის ფორმა

(აქტის შედგენის ადგილი)

.... 20 წ.

N	საჯარიმო ქვითრის ჩამოწერის მიზეზი	საჯარიმო ქვითრის რაოდენობა	საჯარიმო ქვითრის ექსკლუზიური ნომერი/ნომრები	შენიშვნა
1	2	3	4	5

ხელმოწერით ვადასტურებთ აქტის მიხედვით წარმოდგენილი უვარგისი საჯარიმო ქვითრის ფორმების ჩამოწერის სისწორეს:

ოქმის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი: ----------

ოქმის გამოყენებასა და აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირი: ----------

დანართი N14

სააღსრულებო ფურცლის ფორმა

ს ა ა ღ ს რ უ ლ ე ბ ო ფ უ რ ც ე ლ ი № -----

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია

_____

(სააღსრულებო ფურცლის გამცემის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი)

_____

საქმე, რომლის გამოც გაცემულია სააღსრულებო ფურცელი

_____

(აღსასრულებლად მიქცეული ადმინისტრაციულ-სამარათლებრივი გამოტანის თარიღი)

_____

(აღსასრულებლად მიქცეული ადმინისტრაციულ-სამარათლებრივი აქტის ძალაში შესვლის თარიღი)

_____

(ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილი)

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები:

მოვალის დასახელება და რეკვიზიტები:

სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი:

უფლებამოსილი პირი: _____ /_____ /

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

ბ.ა.